ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილის

ლანა ჩიტიძის ანგარიში

საკრებულოს წევრი: *ლანა ჩიტიძე*

დაკავებული თანამდებობა: *ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე*

კომისიების წევრობა: *ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი*

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდი: *2025–2026 წელი*

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და აქტიური მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

- *ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 სხდომა (12 რიგითი, 4 რიგგარეშე)*

- *კულტურის, განათლების, ახლგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 9 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 11 საკითხი.*
- *ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 9 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 13 საკითხი.*
- *ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ფრაქციის 18 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 21 საკითხი.*

ჩვენი გუნდისთვის ადამიანი, მისი კეთილდღეობა პრიორიტეტია, შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ ბევრ რამეზეა დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა და უამრავი რაიმე ახდენს მასზე დადებით ან უარყოფით ზეგავლენას, მაქსიმალურად ვცდილობთ გავაანალიზოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა და უმწეოთა

ყოფა, ვიცით, რომ არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია არსებობა, მაგრამ ამავე დროს არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც შეუძლებელია კეთილდღეობა.

რთულია კეთილდღეობის განსაზღვრა უპირატესობების, პრიორიტეტების გარეშე, შესაბამისად, ჩვენც ვცდილობთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალური შევძლოთ.

საერთაშორისო კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერის“ ფარგლებში აქტიური შეხვედრები გავმართე ქალბატონებთან, გავავრცელე ფლაერები, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. შევახსენე, რომ საქართველოს მასშტაბით, სკრინინგის ეროვნულ ცენტრებში, მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ასაკის ქალებისათვის ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის, და მსხვილი ნაწლავის სკრინინგები სრულიად უფასოა , რომ ადრეული დიაგნოსტირება აუცილებელია და ამისათვის დროული სკრინინგია საჭირო.

აქტიურად ჩავერთე 2026 წლის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფორმირებაში, მინდინერე წელს გვაქვს 28 ქვეპროგრამა, რომელის დახმარებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები, შშმ ვეტერანები, ,,60+“ ხანდაზმულთა კლუბის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები. აღნიშნული ქვეპროგრამები ემსახურება მოქალაქეების ყოფითი და ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქებას.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გასვლით სხდომას დავესწარი №4 შერეულ პოლიკლინიკაში. ადგილზე გავეცანით დაწესებულების საქმიანობას, მოვისმინეთ ანგარიში, ვისაუბრეთ მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის პროგრესი, რომელსაც დღეს ამ დაწესებულებაში ვხედავთ. პოლიკლინიკამ წარმატებით გაიარა ISO 9001-ის სერტიფიცირება და დღეს უკვე ემზადება ISO 15189-ის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შესაბამისი აკრედიტაციისთვის.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა ჩიხლაძის ინიცირებით მიმდინარე წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პატივისცემა და მადლიერება გამოვხატეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში დასაქმებული ქალბატონების მიმართ. ამ განსაკუთრებულ დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იმ ქალბატონების დაფასება, რომლებიც ყოველდღიურად, პროფესიული პასუხისმგებლობით, თავდადებითა და

ადამიანებისადმი დიდი გულისხმიერებით ემსახურებიან საზოგადოებას. მათი საქმიანობა ხშირად დაკავშირებულია რთულ და საპასუხისმგებლო გარემოებებთან, სადაც თითოეული წუთი და თითოეული გადაწყვეტილება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანია.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის თანამშრომელ ქალბატონებს გადავეცით ყვავილების თაიგულები და ტკბილეული, რითაც სიმბოლურად გამოვხატეთ ჩვენი პატივისცემა, მადლიერება და კეთილისურვილები.

ფრაქციის თავმჯდომარის, დიმიტრი მხეიძის, ინიციატივით, ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში გასვლითი სხდომა გამართა. სხდომის ფარგლებში ბაღის ხელმძღვანელობამ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა და განხორციელებული სამუშაოების შესახებ ისაუბრა.

დიდი ძალისხმევითა და მხარდაჭერით, ერთად, გუნდურად, ვცდილობთ შევეხიდოთ და ფინანსური მხარდაჭერით გვერდით დავუდგეთ და ყოფა შევუმსუბუქოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჩვენს თანაქალაქელებს.

აქტიურად ვარ ჩართული ქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, სტუდენტურ აქტივობებში, აქტიური კომუნიკაცია მაქვს ქალაქის მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ საჭიროებებს, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვცდილობ, მონაწილეობა მივიღო პრობლემების ადრესატამდე მიტანასა და მოგვარებაში.

ლანა ჩიტიძე

ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარის მოადგილე